ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გამსახურდია 28“ -ის
კრების ოქმი N7 28/06/2021 წელი

ქ.თბილისი,

შედგა პეკინის ქ. N28-ში (ყოფ. გამსახურდიას გამზირი) მდებარე საცხოვრებელი სახლის ინდივიდუალური ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო კრება.
კრებას ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა 2/3 -დი.
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე: ნათია ფურცხვანიძე
კრების თავმჯდომარეობა დაევალოს: ნათია ფურცხვანიძეს
დღის წესრიგი:

1. ამხანაგობის წევრის იგორი ახობაძის შპს “მელომანი“-ს დირექტორის (საიდენტიფიკაციო ნომერი 211324039) უნებართვოდ მიშენებული სარდაფში ჩასასვლელი 5,2 კვ.მ ფართის ლეგალიზების საკითხი;
2. 2021 წლის 15 ივნის ამხანაგობა „გამსახურდია 28“-ის მიერ ჩატარაბული კრების ოქმი N6-ის ხარვეზით ჩატარების გამო ბათილად ცნობის საკითხი.

მოისმინეს:

1. კრების თავმჯდომარის ინფორმაცია ამხანაგობის წევრის იგორი ახობაძის შპს “მელომანი“-ს დირექტორის (საიდენტიფიკაციო ნომერი 211324039) მიერ 1997 წელს უნებართვოდ მიშენებული (მიწის ნაკვეთზე N01.10.14.030.011) სარდაფში ჩასასვლელი 5,2 კვ.მ ფართის (უძრავი ნივთის საკადასტრო კოდი N01.10.14.030.011.06.500 საკუთრება: სარდაფი შენობა N6) ლეგალიზების საკითხი;

2. კრების თავმჯდომარის ინფორმაცია 2021 წლის 15 ივნის ამხანაგობა „გამსახურდია 28“-ის მიერ ჩატარაბული კრების ოქმი N6-ით განხილული ამხანაგობის წევრი იგორი ახობაძის შპს „ მელომანი“-ს დირექტორის სარგებლობაში არსებულ სარდაფში (უძრავი ნივთის საკადასტრო კოდი N01.10.14.030.011.06.500) ჩასასვლელის 5,2 კვ.მ უნებართვო მიშენების ლეგალიზების საკითხი, სადაც 24-მა მესაკუთრემ გამოხატა ნებელობა, რამაც შემდგომში გამოიწვია გაურკვევლობა. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად N01.10.14.030.011 მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება 17 თანამესაკუთრე. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე რამოდენიმე თამანესაკუთრეს რეგისტრირებული აქვს ერთი ან/და მეტი საკუთრება, მინიჭებული ცალკეული საკადასტრო კოდით რაც მოიაზრება „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის“ საქართველოს კანონის შესაბამისად როგორც ინდივიდუალური საკუთრება. ვიხელმძღვანელეთ აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის ა) პუნქტით; მე-4 მუხლის პირველი პუნქტით და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტების შესაბამისად რითაც განისაზღვრა მესაკუთრეთა 24 ხმებამდე გაზრდა.

ნათია ფურცხვანიძე

აღნიშნულ კრებაზე უნდა გვეხელმძღვანელა „სამოქალაქო კოდექსი“-ს 312-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, რაც გულისხმობს 17 მესაკუთრიდან 2/3-დი მესაკუთრის კრებაზე დასწრებას.

დაადგინეს:

კრებამ ხმათა 2/3-ის 100% -ით დაადგინა, რომ ამხანაგობის წევრმა იგორი ახობაძემ შპს “მელომანი“-ს დირექტორმა (საიდენტიფიკაციო ნომერი 211324039) მოახდინოს 1997 წელს უნებართვოდ მიშენებული მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.10.14.030.011) სარდაფში ჩასასვლელი 5,2 კვ.მ ფართის (უძრავი ნივთის საკადასტრო კოდი N01.10.14.030.011.06.500 საკუთრება: სარდაფი შენობა N6) ლეგალიზება;

კრებამ ხმათა 2/3-ის 100%-ით დაადგინა ამხანაგობა „გამსახურდია 28“-ის მიერ 2021 წლის 15 ივნისს ხარვეზით ჩატარებული კრების ოქმი N6-ის გათილობა.

კრების თავმჯდომარე: ნათია ფურცხვანიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210682135
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	02.07.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამილა გოგატიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 8, II სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599 33 55 77, 032 233 55 77
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	87823863100421

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის ორ ივლისს მე, საქართველოს ნოტარიუსს თამილა გოგატიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: პეკინის 8, მეორე სართულზე, მომმართა მოქ. ნათია ფურცხვანიძემ, მან მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ კრების ოქმზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა და ქმედუნარიანობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და სრს ვებ-გვერდზე გადამოწმებული ინფორმაციით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ნათია ფურცხვანიძემ (დაბადებული 26.02.1996წელს, პირადი # 01024074662, მისამართი: ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 14, ბინა 22) მომმართა.

მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე კრების ოქმზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ ნათია ფურცხვანიძის ხელმოწერის ნამდვილობას და პასუხს არ ვაგებ ტექსტის სისწორესა და შინაარსზე. შემდეგ მხარემ ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ კრების ოქმს.

დოკუმენტი დამოწმებულია ერთ ეგზემპლარად, ხელმოწერები შესრულებულია ყველა გვერდზე და სულ დამოწმებულია ორი ხელმოწერა.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 2011 წლის 29 დეკემბრის სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის თანახმად: 4.72 ლარი, დღგ-ს ჩათვლით; და 2 ლარი სარეგისტრაციო მოსაკრებელი 39-ე მუხლის თანახმად სულ 6.70 ლარი;

ნოტარიუსი: /თამილა გოგატიშვილი/

შეკერილია და დანომრილია
3[illegible] ფურცლად
ნოტარიუსი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გამსახურდია 28“ -ის დაფუძნების
კრების ოქმი N1 10/03/2021 წ.

ქ. თბილისი,

პეკინის ქ. N28-ში (ყოფ. გამსახურდია გამზირი) მდებარე საცხოვრებელი სახლის ინდივიდუალური ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის დაფუძნების საერთო კრება შედგა. კრებას ესწრებოდა ამხანაგობის წევრთა 2/3-დი.

დღის წესრიგი:

1. კრების თავმჯდომარედ ეკატერინეს ხუციშვილის არჩევის საკითხი;
2. ამხანაგობის სახელწოდების „ გამსახურდია 28“-ის შერჩევის საკითხი;
3. ამხანაგობის თავმჯდომარის ნათია ფურცხვანიძის არჩევის საკითხი;
4. ამხანაგობის თავმჯომარის ნათია ფურცხვანიძის ერთი წლის ვადით არჩევის საკითხი.

მოისმინეს:

კრების მოწვევის ინიციატორის, ამხანაგობის წევრი იგორი ახობაძის შპს „მელომანი“-ს დირექტორის (საიდენთიფიკაციო ნომერი 211324039) წინადადება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

პეკინის ქ. N28-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N01.10.14.030.011 საცხოვრებელი სახლის ინდივიდუალური ბინის მესაკუთრეთა ხმათა 2/3-დის გადაწყვეტილებით, შეიქმნას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა და ეწოდოს „გამსახურდია 28“;

აღნიშნული კრების თავმჯდომარეობა დაევალოს ეკატერინეს ხუციშვილს (პ/ნ 01024026565);

ამხანაგობის მოწვეულ მართველად არჩეული იყოს ნათია ფურცხვანიძე (პ/ნ 01024074662) ერთი წლის ვადით.

დაადგინეს:

კრებაზე დამსწრე მესაკუთრეთა 2/3-ის 100 %-ით დადგინდა, რომ პეკინის ქ. N28-ში (ყოფილი გამსახურდიას გამზირი) N01.10.14.030.011 მიწის ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელი სახლის ინდივიდუალური ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა ჩამოყალიბდეს და ეწოდოს „გამსახურდია 28“; მოწვეულ მართველად არჩეულ იქნას ნათია ფურცხვანიძე (პირადი N 01024074662) ერთი წლის ვადით; აღნიშნული კრების თავმჯდომარეობა დაევალა ეკატერინეს ხუციშვილი (პირადი N01024026565).

კრების თავმჯდომარე: ეკატერინე ხუციშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210677366
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	01.07.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	თამილა გოგატიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზირი 8, II სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599 33 55 77, 032 233 55 77
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	16515923446021

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაერთი წლის პირველ ივლისს მე, საქართველოს ნოტარიუსს თამილა გოგატიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: პეკინის 8, მეორე სართულზე, მომმართა მოქ. ეკატერინეს ხუციშვილმა, მან მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ კრების ოქმზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა და ქმედუნარიანობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და სრს ვებ-გვერდზე გადამოწმებული ინფორმაციით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ეკატერინეს ხუციშვილმა (დაბადებული 15.11.1973წელს, პირადი # 01024026565, მისამართი: ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 14, ბინა 22) მომმართა.

მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, განვუმარტე კრების ოქმზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ ეკატერინეს ხუციშვილის ხელმოწერის ნამდვილობას და პასუხს არ ვაგებ ტექსტის სისწორესა და შინაარსზე. შემდეგ მხარემ ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ კრების ოქმს.

დოკუმენტი დამოწმებულია ერთ ეგზემპლარად, ხელმოწერები შესრულებულია ყველა გვერდზე და სულ დამოწმებულია ერთი ხელმოწერა.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა №507 2011 წლის 29 დეკემბრის სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლის თანახმად: 2.36 ლარი, დღგ-ს ჩათვლით; და 2 ლარი სარეგისტრაციო მოსაკრებელი 39-ე მუხლის თანახმად. სულ 4.35 ლარი;

ნოტარიუსი: /თამილა გოგატიშვილი/


ნოტარიუსი: